უფროსი სპეციალური მასწავლებლის

საგამოცდო პროგრამა - 2024

(პროფესიული უნარები)

1. სასწავლო პროცესი

1.1. პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო სასაწავლო გარემოს შექმნა

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებსა და ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
- ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის კომუნიკაციის პროცესში დამხმარე ან/და ალტერნატიული საშუალებების გამოყენება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან კონფლიქტების პრევენცია, კონფლიქტების კონსტრუქციული მოგვარება, ბულინგის თავიდან აცილება.
- მულტიდისციპლინურ გუნდთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, მათთვის რეკომენდაციების გაწევა.
- არადისკრიმინაციული ტერმინოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა.

1.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა

- ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის, მისი განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა.
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებით საგნის/საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან თანამშრომლობა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შესაძლებლობების, ინტერესებისა და პრიორიტეტების დადგენა. ამის საფუძველზე მოსწავლისათვის ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება და საერთო საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა.
- მოსწავლეთა შესაძლებლობებზე დაყრდნობით მათი მომზადება ტრანზიციისათვის.

1.3. სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე რელევანტური ინსტრუქციების მომზადება.
- ინსტრუქციებთან დაკავშირებით მასწავლებლებისათვის რეკომენდაციების გაწევა.
- მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობა და მათგან რეკომენდაციების მიღება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი მიდგომების, მეთოდების/სტრატეგიების შერჩევა/გამოყენება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციური უნარების, ადაპტური ქცევებისა და სოციალური უნარების სწავლების მეთოდიკების ცოდნა/გამოყენება.
- პრობლემური ქცევის შეფასების, პრევენციისა და მართვის ტექნიკების ცოდნა/გამოყენება.

1.4. სასწავლო რესურსის გამოყენება

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების (როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე) შერჩევა/გამოყენება.
- საჭიროების შემთხვევაში რესურსის შექმნა, მასწავლებლებისათვის რეკომენდაციის გაწევა.

1.5. შეფასება

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება/რეფერირება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სხვადასხვა უნარის (კოგნიტური, აკადემიური, კომუნიკაციური, სოციალური, ემოციური, მოტორული და ფუნქციური) პირველადი შეფასება.
- შეფასების საფუძველზე მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების განსაზღვრა და სასწავლო პროცესისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასებისას ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და გენდერული თავისებურებების გათვალისწინება.
- სწავლის შედეგების მონიტორინგი.
- პორტფოლიოს შექმნა/წარმოება.

2. პროფესიული პასუხისმგებლობა და ეთიკა

2.1. თვითგანვითარებაზე ზრუნვა - თვითშეფასების მეთოდების გამოყენება. - ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება. - კოლეგებთან თანამშრომლობა. - მულტიდისციპლინურ გუნდთან, ისგ ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობა.
2.2. სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლის ადმინისტრაციასთან, საგნის/საგნობრივი ჯგუფების პედაგოგებთან, ისგ ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება. - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ეფექტიანი თანამშრომლობა. - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.
2.3. სკოლის განვითარებაზე ზრუნვა - ინკლუზიური კულტურის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა. - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა სასკოლო აქტივობებში.